საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12786/01
09/12/2021

12786-01-2-202112091522

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო -,
ფილიალი საქართველოშის“
მის: ქ. თბილისი, პეტრიაშვილის N10
ელ. ფოსტა: lela.bachiashvili@crtg.cn;
paatachank@yahoo.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 1 დეკემბრის N21579 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქვეშეთი-კობი გზის (ლოტი 1) მშენებლობის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (ქვის სამსხვრევი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის) პროექტს.

სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ მე-4 თავში ,,ტექნოლოგიური პროცესის აღწერა” აღნიშნულია, რომ ,,საპროექტო ტერიტორიის ფართობი, სადაც ქვის სამტვრევი საწარმო განთავსდება, 38.400 მ2-ია”. ამასთან, მე-8 თავში ,,ძირითადი დასკვნები” მითითებულია, რომ ,,ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი საწარმო და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურა”, ამასთან, განცხადებაში განხილულია მხოლოდ საწარმოს ექსპლუატაციის საკითხი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს მოწყობილია თუ არა უკვე საწარმო და შესაბამისად, სკრინინგის განცხადება და მისი სახელწოდება საჭიროებს არსებული რეალობის გათვალისწინებით კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, საკადასტრო კოდებით: 36.03.42.015; 36.03.42.016; 36.03.42.070; 36.03.42.107. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული საკადასტრო კოდებით წარმოდგენილი მიწის ნაკვეთები მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში,

სოფ. უბისაში. შესაბამისად, საკადასტრო კოდების შესახებ ინფორმაცია საჭიროებს კორექტირებას;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიის გენგეგმაზე მოცემული არ არის უშუალოდ ქვის სამსხვრევი საწარმოს გენგეგმა, კერძოდ დანადგარების განთავსების ადგილმდებარეობა და GPS კოორდინატები, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მიედინება მდ. ნაროვანი. გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მიედინება მდ. ნარვანი, შესაბამისად მდინარის სახელწოდება საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში ტექნიკური წყლის მიწოდება მოხდება მდ. ნაროვანიდან (ნარვანი). დაზუსტებას საჭიროებს წყალაღების წერტილის GPS კოორდინატი. ასევე, ინფორმაცია აღებული წყლის რაოდენობის შესახებ ($მ^3$/სთ; $მ^3$/წელ) და გადანაწილება თვეების მიხედვით;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მდ. ნარვანის ჰიდროლოგიური მონაცემების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნოლოგიური ციკლის აღწერა;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო მოედანზე არსებული წყლების გაწმენდისთვის მოწყობილია 5 გამფილტრავი ავზი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოხდება კიდევ ერთი, მე-6 ავზის დამატება. დაზუსტებას საჭიროებს ავზების მოცულობა, მათ შორის მე-6 ავზის დამატების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს მოწყობითი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დიდი რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი. დაზუსტებას საჭიროებს რა სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნაა მოსალოდნელი და მათი შემდგომი მართვის საკითხები; ამასთან, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ გამფილტრავ ავზებში მყარი ნაწილაკების დალექვის შემდეგ მოხდება წყლის ხელმეორედ გამოყენება. დაზუსტებას საჭიროებს ავზებში დალექილი მყარი ნაწილაკების რაოდენობა და შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე